პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

31 იანვარი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №1 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№1 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

ბ.პატარაძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის
№ ..... დადგენილების დანართი № 1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შ ე ს ა ხ ე ბ

№ რიგზე	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდე-ბობრივი სარგოს ოდენობა ლარში
საკრებულოს აპარატის მოსამსახურეები: 34 შტატი. მათ შორის:				
1.	**საკრებულოს აპარატის უფროსი**	**პირველი რანგი /მაღალი მმართველობითი დონე/**	1	3059
2.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – სამდივნო განყოფილება: 7 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამდივნო განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	3059
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	5	1729
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1596
3.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – იურიდიული განყოფილება: 3 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიული განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	2660
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	2	1729
4.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადმინისტრაციული განყოფილება: 10 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	2660
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	6 1	1729 1995
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	2	1596
5.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება: 6 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	2660
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	3 1	1729 1995
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1596
6.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება: 4 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	2660
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	3	1729

7.	**მეორადი სტრუქტურული ერთეული – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 3 შტატი. მათ შორის:**			
ა)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	**მეორე რანგი /საშუალო მმართველობითი დონე/**	1	2660
ბ)	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1729
გ)	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**მესამე რანგი /უფროსი სპეციალისტის დონე/**	1	1596

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია:**

ა) დადგენილების მიღების მიზეზი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №85 დადგენილებასთან დაკავშირებით განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზით (2024 წლის 15 იანვრის №GOV 524 00000977 წერილობითი მომართვა).

ბ) დადგენილების მიღების მიზანი: წინამდებარე დადგენილების მიღებით, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამდივნო განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან და „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.

2. **დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

წინამდებარე დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

3. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. **დადგენილების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარაიძე.

5. **საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:**

საკრებულოს აპარატის უფროსი, ივანე ჟორჟოლიანი.

ც.პატარაიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 5 24 00000977

15/01/2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №83 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართში სამდივნოს განყოფილების უფროსისთვის დადგენილი სარგო შესაბამისობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით, რაც აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. საბაზო თანამდებობრივი სარგო კი უნდა განისაზღვროს

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოს შეადგენს 1330 ლარი. ამდენად, მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით ჩასწორებას ექვემდებარება საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნოს - ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო.

ზემოაღნიშნული შენიშვნიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე